საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 281

შაბათი აგვისტოს 26 1922 წ.

ტფილ. ფასი 50სს მან. — პროვინც. 6000 მან.

კონსტანტინოპოლში 14 ივლისს გარდაიცვალა

გრიგოლი დიმიტრის ძე ფარულავა,

რასაც ნათესავნი მისნი: ყარამანი გრიგოლის ძე, ვერა იოსების ასული ფაღავა და ალექსანდრა ივანეს ასული ჯაგანავა გულითადი მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში კვირა, 27 აგვისტოს, 12 საათზე.

№ 296. 1—1

## ქ. ტფილისის საბჭოს ყველა წევრთა საყურადღებოდ

თანახმად ტფილისის საბჭოს პლენუმის დადგენილებისა ა. წ. აგვისტოს 14, საბჭოს ყოველი წევრი ვალდებულია ჩაეწეროს ალმასკომის ერთ-ერთ სექციაში, რომელშიაც თვით წევრს სურს. ამიტომ ალმასკომის სეკრეტარიატმა დაიწყო ჩაწერა და სთხოვს საბჭოს წევრებს ჩაეწერონ სექციაში. ჩაწერა შეიძლება 10-დან 3 საათამდე ყოველ დღე, გარდა უქმეებისა და გაგრძელდება სექტემბრის ათამდე.

საბჭოს მდივანი გ. ხუნდაძე.

4—3

## ეროვნული საკითხი და რუსეთის რევოლუცია

ეროვნული იდეის სიძლიერე პოლიტიკურ სხეულთა შექმნა-ჩამოყალიბებაში ისტორიული ფაქტია, მაგრამ ხშირად ადამიანებს ამოძრავებს დოგმატიური დოქტრინები და არა კრიტიკული ანალიზი რეალი ფაქტების.

ამით აიხსნება ის პოლიტიკა, რომელიც რუსეთის რევოლუციის პროცესში იყო წარმოებული მენშევიკური პარტიის მიერ. მისთვის კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება იყო სოციალ მოვლენების ბარომეტრი და თანახმად ორტოდოქსალი მარქსიზმისა არ სცნობდა ეროვნული საკითხის სიძლიერეს.

ამის შედეგი იყო რუსეთის რევოლუციის მიერ მენშევიზმის გარიყვა. მენშევიზმის ტრადიცია მაგალითია იმ განწირულ პოლიტიკოსების, რომელნიც დოქტრინერულ ფერადი სათვალებით უყურებენ სოციალურ მოვლენებს და ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიით ცდილობენ ეროვნული საკითხის გადაჭრას. ვინც დღესაც მიმართავს ასეთ მეთოდებს, მისთვის უსარგებლო არ იქნება უკან მოხედვა, მენშევიზმის ტრადიციისაკენ.

ბოლშევიზმის გამარჯვების მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მარტო მის რადიკალიზმში სოციალურ სფეროში, არამედ მის რადიკალიზმში ეროვნულ სფეროშიც. ბოლშევიზმმა შესძლო ფედერალიზმის და სოციალიზაციის წამოყენება, როგორც ეროვნულ და სოციალურ საკითხთა გადასაწყვეტ საზომები და ეს საფუძველი გახდა, რომ იგი დაკავშირებოდა, როგორც მშრომელთა ფართო მასას, ისე დამონებულ ერსაც. ამ რიგად ეროვნულმა საკითხმა რუსეთის რევოლუციაში განსაკუთრებული როლი შეასრულა და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან რუსეთის ყოფილი იმპერია პატარა ერთა სისხლით იყო შედგენილი.

რა თქმა უნდა არ კმარა ეროვნული საკითხის ტაქტიკური გამოყენება. მართალია მით შეიძლება პოლიტიკური სიმაღლეზე ასვლა, მაგრამ თუ მტკიცედ და ურყევლად არ იქნა ერთა უფლებები დაცული, მით ადვილ შეიძლება ამ სიმაღლეზედ გადმოვარდნა. კომპრომისები ეროვნულმა მოძრაობამ გაცილებით ნაკლები იცის, ვიდრე სხვა სახის მოძრაობამ და მას შეუძლია პოლიტიკური მოღვაწის როგორც უმაღლეს პიედესტალზე აყვანა, ისე მისი დასამარებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის რევოლუციამ ვერ შესძლო ეროვნული საკითხის გადაჭრა პრაქტიკაში ისე რადიკალურად, როგორც მან შესძლო მისი გამოყენება რევოლუციონურ მოძრაობის პროცესში. ამ დებულების ტიპიური მაგალითია ამიერ-კავკასიის ფედერაცია და ამ ფედერაციაში შესულ ერთა უფლებები. დამოუკიდებელ რესპუბლიკას ისეთ მდგომარეობას უქმნიან, რომ მას არ უნდა ეკითხებოდეს მისი რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმეები. საბჭოთა რუსეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის აუცილებელი არის მჭიდრო კავშირი, მაგრამ საკითხავია—რამდენათ უწყობს ხელს ასეთ ურთიერთობის დამყარებას ის უფლებრივი ანარქია, რომელიც შექმნილია საბჭოთა რუსეთსა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის შორის? არის კი ასეთი არევა კომპეტენციების ვისმესთვის სასარგებლო, ვინც რევოლუციისა და სოციალიზმის ინტერესებით ხელმძღვანელობს? ჩვენ ვამბობთ, რომ არა, ათასჯერაც არა.

შექმნილი მდგომარეობა ობიექტიურად ემსახურება ყოველი ჯურის ავანტიურისტს და შოვინისტს, რომელიც ხალხს საილუსტრაციოდ უთითებს არსებულ მდგომარეობაზე და საბჭოთა წყობილების წინაამდეგ რაზმავს მას. მარტო ამ მოსაზრებით რა თქმა უნდა ჩვენ არ გვინდა ეროვნული უფლებათა დაცვა მოვთხოვოთ ხელისუფლებას. ჩვენ ქართველი ერის უფლებები პოლიტიკური სპეკულიაციის საგნად არასოდეს არ გაგვიხდია და იგი მარტო მაშინ არ გვაგონდება, როდესაც ამას ტაქტიკური მოსაზრება მოითხოვს. ჩვენ ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ ეროვნული უფლებების ურყევად დაცვას, რადგან სხვა გზით სოციალიზმისაკენ სვლა ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია.

კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეპოქამ ჩვენ მოგვცა, როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრის უკიდურესობა. კაპიტალიზმის წინაამდეგ ამხედრებულ ძალას, რომელსაც სურს ახალი სოციალი ტრანსფორმაციის განადგება ორი დროშა უნდა ეპყრას ხელში—სოციალისტური და ეროვნული.

ჩვენში დღეს ასე როდი ხდება. ხელისუფლებამ შეკერა ეროვნული დროშა, მაგრამ იგი არსად არ სჩანს. ასეთი დროშა კი დღეს სადღაც არის გადანახული.

ქართველი ძლიერი ჯარის შედგენა წელიწად ნახევრის შემდეგაც არ არის დასრულებული, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა ჯერაც ვერ იქცა ფაქტად. ფედერატიული კავშირი სრულ გაერთიანებად უნდათ აქციონ ზოგიერთებმა და სახელმწიფოს თვითორგანიზაციის კომპეტენციაც აღარ რჩება. ამის არ დანახვა ან სიბრმავე იქნება და ან შეგნებულად ფაქტების მიჩქმალვა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია პოლიტიკური ცხოვრების, ხედავს ყოველივე ამას და ცდილობს კიდეც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალურად წარმართვას.

ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი მასა და რევოლუციის ინტერესი.

რუსეთის რევოლუციამ თუ ვერ შესძლო მისი აღებული გზის მკაცრი დაცვა, რომელშიაც ერთა თავისუფლებას დიდი ადგილი უჭირავს, იგი აუცილებლად დამარცხდება. ნაპოლეონისა და მენშევიზმის ტრადიცია ამ მხრივ ცოცხალი სურათებია.

ეროვნული საკითხი, ეროვნული იდეა, ეროვნული თავისუფლება დღეს მსოფლიო მაშტაბით ისეთ სახეს იღებს, რომ მასზე გაბედული ექსპერიმენტების მოხდენა მეტად საფრთხილოა. ამას კოლონიების მიმართაც ვერ აწარმოებს ძველებურად მეტროპოლიები. მით უფრო რევოლუციონურ რუსეთს დიდი სიფრთხილე, დიდი მუშაობა მართებს, რომ განაპირა ქვეყნები არ წარმოადგენდენ კოლონიისა და პროვინციის ტიპის პოლიტიკურ ერთეულებს. ასეთი მდგომარეობა უკარგავს მას ნდობასა და გავლენას როგორც განაპირა ქვეყნების მშრომელ ხალხში, ისე მსოფლიო მუშათა კლასის თვალშიაც.

ლენინი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ ამბობს, რომ ჩვენ მეტისმეტად გავყევით მას, ჩვენ უნდა შევჩერდეთ, მეტის დათმობა შეუძლებელია. ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა გაიმეოროს ეს სიტყვები გამაერთიანებელი პოლიტიკის შესახებ, რომ ჩვენ მეტის-მეტად გავყევით მას, ჩვენ უნდა შევჩერდეთ, მეტის დათმობა შეუძლებელია.

თუ ეს ასე არ იქნება, 1921 წლის თებერვლის აქტ ის კვალიფიკაცია მოიღებს არა რევოლუციონურ ხასიათს და ისტორიის წინაშე ამ აქტის მესვეურნი ვერ იქნებიან საპატიო ადგილს მოთავსებულნი.

ეროვნული საკითხი რუსეთის რევოლუციის ხერხემალია და ვინც მას გასტეხავს, იგი რუსეთის რევოლუციას სასიკვდილო მახვილს ჩასცემს.

ხურ. ამაღლობელი.

## იურიდიული შენიშვნები

### (სასამართლოს მომწყობ განყოფილების საპასუხოდ)

ეხლა მოვიყვან აქ სასამართლოს მომწყობ განყოფილების მეორე მოსაზრებას: „სახალხო სასამართლოს დებულება მოითხოვს, რათა სახალხო სასამართლომ, გადაწყვეტს—რა იგი საქმეს, უნდა უჩვენოს გადაწყვეტილებაში საფუძველი (მ. 106 პ. 5). და ეს იმისთვის არის საჭირო, რომ უმაღლეს ინსტანციას (საბჭოს) ჰქონდეს კონტროლის საშვალება, რამდენად ჯეროვნად არის საქმე გადაწყვეტილი" („პრავდა გრუზიით", №406).

ეს ამონაწერი ასე უნდა ვიგულისხმოთ: იმიტომ არის სახალხო სასამართლო ვალდებული საფუძველზე მიუთითოს, ესე იგი გადაწყვეტილება დაასაბუთოს, რომ საბჭოს საშუალება ქონდეს, საქმე არსებითად გადასინჯოს.

ვთქვათ, სახალხო სასამართლო ვალდებულია, რომ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთოს. აქედან მაინც არ გამოიყვანება ის დასკვნა, ვითომც საბჭოს —საკასაციო ინსტანციას—გადაწყვეტილების არსებითად განხილვის უფლება ჰქონდეს. რუსეთში სამოსამართლო პალატი. აპელატურებდა, ასაბუთებდა, კანონის ძალით, თავის გადაწყვეტილებას მაგრამ სენატი, როგორც საკასაციო ინსტანცია, საქმის ფაქტიურ მხარეს ვერ შეეხებოდა. ეს წესი მარტო რუსეთშიდაც არ ყოფილა: საკასაციო ინსტანციას ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში ერთი და იგივე კომპეტენცია აქვს: მან საქმის მხოლოდ იურიდიული მხარე უნდა განიხილოს.

უკეთუ ჩვენს ოპონენტს დავეთანხმებით, უნდა ვსცნოთ, რომ სახალხო სასამართლოს დებულებაში მოუხდენიათ მხოლოდ სასამართლოს მოწყობის რეორგანიზაცია. წინეთ სამი ინსტანცია იყო: 1) საოლქო სასამართლო, 2) სამოსამართლო პალატა, რომელნიც არსებითად იხილავდენ საქმეს, და 3) სენატი, რომელიც მარტო საკასაციო დაწესებულებას წარმოადგენდა. ეხლა კი საოლქო სასამართლოს და პალატის მაგიერ მარტო ერთია—სახალხო სასამართლო, რომელიც არსებითად არჩევს საქმეს, ხოლო სენატის ადგილი საბჭომ დაიჭირა. რასაკვირველია, როგორც სენატი, ისე საბჭო საქმის მარტო იურიდიულ მხარეს შეეხება.

ეს სტრიქონები გვიჩვენებს, რომ „პასუხის" ავტორი მაშინაც არ იქნებოდა მართალი, სახალხო სასამართლო რომ მართლა ვალდებული იყოს თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთოს.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ვალდებულება სახალხო სასამართლოს არ აძევს. უკეთე თუ, მართლა, ის ვალდებული არ არის, თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთოს (მოტივები მოიყვანოს),—სასამართლოს მომწყობი განყოფილება გვეთანხმება იმ შემთხვევაში, რომ საბჭო საქმის არსებითად განხილვაში ვერ შევა. მაშასადამე, თავისთავად სდგება საკითხი: ვალდებულია თუ არა სახალხო სასამართლო თავის განჩინება დაასაბუთოს? ან და 106 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც გადაწყვეტილების საფუძველზე ლაპარაკობს, გულისხმობს თუ არა, რომ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იქნას?

გადაწყვეტილების დასაბუთების წესი ასეთი იყო რუსეთში. როდესაც სასამართლოს მოკლე რეზოლუცია გამოცხადდებოდა, თვემდომარე, კანონის ძალით, ვალდას ნიშნავდა, რომლის განმავლობაში სრული, დასაბუთებული, განჩინება უნდა შემდგარიყო. მაშასადამე, „დასაბუთებისათვის" სასამართლოს განსაზღვრული ვადა ეძლეოდა (713 მ.). როგორ უნდა დასაბუთებულიყო გადაწყვეტილება? კანონი ამასაც ხსნიდა: გადაწყვეტილებაში უნდა მოყვანილი ყოფილიყო: ა) სასამართლოს მოსაზრებანი და ბ) საქმის გარემოებანი, რომლებზედაც გადაწყვეტილება იყო აგებული. ეს ორი ელემენტი—მოსაზრებანი და საქმის გარემოებანი,—რომელნიც ახასიათებდენ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

არის ამნაირი მოთხოვნილება სახალხო სასამართლოს დებულებაში? არა! დებულებამ არ იცის გადაწყვეტილების ამნაირი დასაბუთება. 105 მუხლის ძალით, სახალხო სასამართლო, მოისმენს თუ არა საქმეს, სათათბირო ოთახში გადის, საიდანაც გადაწყვეტილება გამოაქვს. გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის მას არავითარ ვადას კანონი არ აძლევს. რადა თქმა უნდა, იმ მოკლე დროში, რომელსაც სასამართლო სათათბირო ოთახში დარჩება, მას არ შეუძლია გამოიტანოს ვრცელი, დასაბუთებული, გადაწყვეტილება, სადაც მოსაზრებანიც და საქმის ყველა გარემოებანი მოთავსებული იყოს. და კანონიც, როგორც ზევით ვთქვით, ამას არ თხოულობს.

მაშასადამე, სასამართლო არაა ვალდებული გადაწყვეტილება ვრცელად დაასაბუთოს. მან მხოლოდ უნდა აღნიშნოს გადაწყვეტილებაში: საქმის გარჩევის დრო, მოსამართლეთა შემადგენლობა მხარეთა ვინაობა, მათი მოთხოვნილებანი, გადაწყვეტილების არსი და საფუძველი და გასაჩივრების წესი (106 მ.). აქ არც მოსაზრებანი, არც საქმის გარემოებანი ნაჩვენები არაა. წარმოიდგინეთ, ისიც არაა ნათქვამი, რომ სასამართლომ უნდა მიუთითოს „მხარეთა მიერ წარმოდგენილ დამტკიცება—საბუთებზე". კანონი ლაპარაკობს მხოლოდ „საფუძველზე", რომელიც ჩვენ მოწინააღმდეგეს გადაწყვეტილების დასაბუთებათ მიაჩნია. მაგრამ ზევით ნათქვამიდან ჩვენ ვიცით, რა არის დასაბუთება. მარტო „საფუძველზე" მითითება დასაბუთებას არ შეადგენს.

საჭიროა, ავხსნათ, რა არის განჩინების საფუძველი და რა მნიშვნელობა აქვს მას? საფუძველი ყოველთვის მძიებელმა უნდა უჩვენოს თავის სარჩელში. მან თავისი სარჩელი რომელიმე საფუძველზე უნდა დაამყაროს. მაგ., სესხზე, ყიდვა—გაყიდვაზე, ან საკუთრებაზე და სხვა. მაშასადამე, დავაც ამ საფუძველზე, ამ ნიადაგზე უნდა იქნას გადაწყვეტილი. უკეთუ დავა ერთ საფუძველზე უნდა გარჩეულ იყო და სასამართლომ კი მეორე საფუძველზე გაარჩია,—რასაკვირველია, ამისთანა განჩინება ძალაში არ დარჩება. ამიტომ 106 მუხლი მოითხოვს, რათა სასამართლომ აღნიშნოს გადაწყვეტილებაში, რა საფუძველზე იყო საქმე გარჩეული. მაგრამ აქედან შორს, არის იმ დასკვნამდე, ვითომ—როგორც სასამართლოს მომწყობი განყოფილება ფიქრობს—106 მუხლის ძალით საბჭოს შეეძლოს მთელი საქმის არსებითად გადასინჯვა.

რომ ამ პრინციპზე ჩვენი მოწინააღმდეგე სავსებით დამარცხდეს, ერთი ფაქტი უნდა მოვიყვანოთ. ძველ სამოქალაქო სამართლის წესდებებში; სამედიატორო სამართლის წესი იყო მოყვანილი. იქ ერთი მუხლი (1389) იყო გათვალისწინებული, რომელიც თავის შინაარსით არ განირჩეოდა დებულების მე 106 მუხლისაგან. იქაც ასე ეწერა: სამედიატორო განჩინებაში უნდა აღინიშნოს: მხარეთა და მედიატორეთა ვინაობა, მხარეთა მოთხოვნილებანი და საფუძველი, რომელიც იყო სამედიატორო სასამართლოს მიერ მიღებული საქმის გარჩევის დროს. თუ რამე განსხვავებაა ამ ორ კანონთა შორის, მხოლოდ ის, რომ ძველი კანონი თხოულობდა, უფრო მეტი გარემოება ყოფილიყო აღნიშნული სამედიატორო დადგენილებაში: ის საფუძველსაც დხოულობდა ამ მხარეთა მიერ წარმოდგენილ დამტკიცება—საბუთებსაც (доказательство). ახლა ვიკითხოთ, შეიძლებოდა, თქმულიყო, 1389 მუხლის ძალით, რომ მედიატორეთა გადაწყვეტილება არ არის სინიდისზე დამყარებული? შეიძლებოდა, თქმულიყო, რომ მხარეებს უფლება ჰქონდათ განესაჩივრებინათ არსებითად მედიატორის განჩინება? აქამდე არ შეხვედრია ცივილისტი, რომელსაც ეთქვა, რომ მედიატორის განჩინება არსებითად ხელმეორედ გადაისინჯება სასამართლოში, რადგანაც მედიატორემ თავის დადგენილებაში უნდა მიუთითოს იმ საფუძველზე, რომელიც მან მიიღო მხედველობაში, როდესაც საქმეს არჩევდა.

აქედან ცხადია, რომ ამნაირივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას „საფუძველი" დებულების 106 მუხლში. მაშასადამე, აქ ლოღიკური დასკვნა ადვილია: არც იქ, 106 მუხლში, „საფუძველი" არ არის ნათქვამი, იმ მიზნით, რომ ამით „საშუალება ეძლეოდეს საბჭოს, რომ მან საქმე არსებითად განიხილოს".

დ. კვირკველია.

## ალექსანდრე ბელი

ვაშინგტონში გარდაიცვალა ტელეფონის გამომგონი ალექსანდრე-გრეხემ ბელი. ის იყო ედინბურგიდან, შვილი დეკლამაციის მასწავლებლისა და ბავშობიდანვე უკვირდებოდა ლაპარაკის მექანიკას. 1870 წელს ბელი მიდის კანადაში და ორი წლის შემდეგ ხდება პროფესორი სალაპარაკო ორგანოების ფიზიო-

ლოგიისა ბოსტონის უნივერსიტეტში. იკვლევს ხმოვან და თანხმოვან ბგერათა ვიბრაციას, რომ გამოიგონოს აპარატი რომლის საშუალებით უნდა ასწავლონ ყრუს. ამისათვის სარგებლობს აგრეთვე ადამიანის ყურის პრეპარატითაც. ბელს დაებადება იდეა, რომ ხმით გამოწვეული რყევა (ვიბრაცია) ჰაერისა გადასცეს ელექტრონ აპარატს. 1874 წ. მამასთან სააგარაკოთ ყოფნის დროს, ონტარიოს შტატში ის ღებულობს სასურველ შედეგს, რკინის აპარატის მოწყობით გაჭიმულ მემბრანაზედ მან მიიღო საჭირო რხევა. ორი წლის შემდეგ ის პირველად ელაპარაკება „ტელეფონით“ ბიძას 8 კილომეტრის მანძილზედ. ერთი წლის შემდეგ 1877 წლის მარტის 10, გაიყვანეს პირველი ტელეფონის ხაზი ბოსტონსა და ექსტერს შუა. ამავე წლის ოქტომბერში გერმანია პირველი აწყობს სახელმწიფო ტელეფონის ქსელს.

ბელმა მიიღო საფრანგეთის მთავრობისაგან ვოლტის სახელობის პრემია 50.000 ფრანკი, რაც მან მოახმარა ლაბორატორიის მოწყობას. ამ ლაბორატორიაში მან გააუმჯობესა ედისონის ფონოგრაფი და გადააქცია ის გრამაფონად.

მაგრამ მთავარი და უკვდავი დამსახურება ბელის კაცობრიობის წინაშე არის ტელეფონის მოგონება.

(იზვესტია)

# გერმანია და ანტანტა

**საფრანგეთი და ინგლისი.**

**ნაუენი.** 24 აგვისტო. იხილავს რა პუანკარეს მიერ ბარ-ლე-დიუკში წარმოთქმულ სიტყვას გაზ. „პელმელი“ და „გლობი“ აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პრემიერს როგორც სჩანს მხარი დაუჭირა პარიზის პრესამ, რომელსაც სძაგს ინგლისი უფრო მეტად, ვიდრე გერმანია. საფრანგეთმა ხელიდან გაუშვა შემთხვევა მიეღო გერმანიიდან კონტრიბუცია იმ უგვანო აზრის წყალობით თითქოს შესაძლო იყო მიეღო ფულები და არ გაუწია ანგარიში იმას, რომ ფულები არ არის: საფრანგეთი რომ ბრძენი ყოფილიყო, მას უნდა მიეღო გერმანიის წინადადება საფრანგეთის პროვინციებში ერთი წლის მუშაობის შესახებ. საფრანგეთი ტყუილად ფიქრობს გამოასწოროს თავისი მდგომარეობა გერმანიის კონტრიბუციით.

**შვიდი ტყავი.**

**ნაუენი.** 24 აგვისტო. გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგის“ აზრით გერმანიამ პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებით უკვე შეასრულა თავისი ვალდებულებანი.

**ელზას ლოტარინგიიდან გადასახლების გამო.**

**ბორდო.** 24 აგვ. სტრასბურგიდან, იტყობინებიან რომ დღეს ალაპეტს ქონდა პუანკარესთან თათბირი ელზას-ლოტარინგიაში მცხოვრებ გერმანელებისადმი იძულებითი ზომების მიღების შესახებ. ეს ზომები გაუქმებული იქნება, ვინაიდან კომპენსაციების საკითხი იმყოფება სასურველად გადაჭრის წინაშე, ხოლო 12 აგვისტოს მომხდარი გერმანელების გადასახლება რჩება ძალაში.

**ბერლინის მოლაპარაკება.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. საკონტრიბუციო კომისიის დელეგატების მოლაპარაკებას კანცლერ ვირტთან ქონდა შემარიგებელი ხასიათი, მაგრამ კანცლერმა განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია მისცეს ის გარანტიები. რომელსაც საფრანგეთი ითხოვს.

**ერთი მეორეთ ღირს.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. გაზ. „ენტმან სიჟანის“ სიტყვით საფრანგეთი არის ანტანტის გუშაგი რეინის საზღვრებზე. ის ხარჯავს ამ საზღვრების დამცველ ჯარის შესანახად 5 მილიარდ ფრანკს, მაშინ როდესაც ინგლისის მთელი სამხედრო ბიუჯეტი აღწევს 7 მილიარდ ფრანკს.

**მდგომარეობა სერიოზული რჩება.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით მოლაპარაკება გარანტიების შესახებ, დაამთავრა წინასწარი შეთანხმებით მაგრამ საკონტრიბუციო კომისიის წრეებში მდგომარეობა მაინც სერიოზულად სთვლიან. გაზ. „პტი პარიზიენის“ სიტყვით გერმანიის პოლიტიკური და ფინანსიური წრეები დიდ ნერვიულობას იჩენენ.

**შუამდგომლობენ.**

**ნაუენი.** 24 აგვისტო. ფრანკფურტის საერთაშორისო მემალაროვეთა კონგრესის დელეგაცია გაემგზავრა პარიზში, გერმანიაში ნახშირის საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად და საკონტრიბუციო კომისიის წინაშე შუამდგომლობის აღსაძრავად, რათა შემცირებულ იქნეს გერმანიიდან გასატანი ნახშირის რაოდენობა.

# გერმანიის ამბები

**კატასტროფა.**

**ნაუენი** 14 აგვისტო. ბავარიაში ვანდელშტეინის ფუნიკულიორზე გადავარდა რელსებიდან მოტორიანი ვაგონი. ვაგონის მხლებელმა მოახერხა ვაგონის შეჩერება, მაგრამ მეორე ვაგონთან დაჯახების გამო რვა კაცი დაიჭრა და 1 მგზავრი გადავარდა რკინის გზიდან უფსკრულში.

**მარკის კურსის დაცემა.**

**ბორდო** 24 აგვისტო. გერმანიის მარკის კურსი სანტიმის კურსზე დაბლაა.

**ომიანობა.**

**ბორდო** 24 აგვისტო, პროექტი ცემპელგოფის სამხედრო გინვროს სახალხო ბაღად გადაკეთების შესახებ, დატოვებულ იქმნა უყურადღებოდ რეიხსვერის მოთხოვნით, რომელიც ითხოვდა მინდვრის დატოვებას სამხედრო მეცადინეობისთვის.

# უცხოეთი

**უმუშევრობა.**

**ნაუენი.** 24 აგვისტო. ლონდონიდან მიღებულ უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობის თანახმად უმუშევართა რიცხვი ინგლისში აგვისტოს თვეში უდრიდა 1.332.000 კაცს.

**კოლინსის მკვლელობა.**

**ნაუენი.** 25 აგვისტო. მოკლულ იქნა ირლანდიის მთავრობის ჯარების მთავარსარდალი და ირლანდიის მთავრობის წევრი მაიკლ კოლინსი. მკვლელობა მოხდა კორკის რაიონში.

**მაერით გამოსვლა.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. იტალიის პრემიერმა განაცხადა, რომ ფრანგულმა კომპანიამ წინადადება მისცა იტალიას მთელ იტალიაში ჰაერით ფოოსტის გზავნის მოწყობის შესახებ.

**იტალია და ბულგარეთი.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. გაზ. „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულია ოფიციალური ნოტა, რომელიც განმარტავს იტალიის მთავრობის ნაბიჯებს ბელგრადში. ნოტაში ნათქვამია, რომ ავსტრიის რეორგანიზაციამ არ უნდა დაარღვიოს ევროპის წონასწორობა, რომელიც დამყარებულია იმ ხელშეკრულებებით, რომლის შესრულება უნდა სავალდებულო იყოს ანტანტის სახელმწიფოებისათვის და განსაკუთრებით ინგლისისათვის.

**იტალია და ხორბალი.**

**ბორდო.** 24 აგვისტო. მანცერმა განაცხადა ნიტიის, რომ იტალიის მთავრობა სდგას იმ თვალსაზრისზე, რომ ის ხელშეკრულებები, რომელიც ხელი დადო სენ-ჟერმენში, ტრიანონში და რაპალოში სისწორით უნდა იქნას შესრულებული. ნიტიმ განაცხადა, რომ ასეთივეა სერბიის თვალსაზრისიც.

**გვალვა და ტყეებში ცეცხლის გაჩენა.**

**მანჩესტერი.** 24 აგვისტო. ბორდოდან იტყობინებიან, რომ გვალვის გამო ტყეებში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის გაჩენის არე უდრის 60 კილომეტრს სიგრძით და 10 კილომეტრს სიგანით.

**ბორდო.** 24 აგვისტო პარასკევიდან ცეცხლი უკიდია ტყეებს ქართინდაში და ალანდში. ცეცხლი ყოველ დღე ძლიერდება და გდება ყოველ დღე 60 კილომეტრი არეს. ცეცხლი ღებულობს უდიდესი უბედურების ხასიათს. ბევრი ადგილს ცეცხლი შემოერტყა სოფლებს. ცეცხლის ჩასაქრობათ მუშაობენ 2000 ჯარისკაცი და ცეცხლის მქრობელი რაზმები.

**სეიმის გახსნის ვადის გადადება.**

**ბორდო.** 23 აგვისტო. პოლონეთის სეიმის სესიის განახლება გადადებულია 19 ოქტომბრამდე.

**პილსუდსკის გაემგზავრება.**

**მანჩესტერი.** 24 აგვისტო, პილსუდსკის გაემგზავრება [illegible] რუმინიის კავშირის ოფიციალურ და რუსეთთან [illegible] სარკვევად, მოხდება არა უგვიანეს 6 სექტემბრისა.

# რუსეთი

**კონფერენცია განიარაღების შესახებ.**

**მოსკოვი** 24 აგვისტო. გარეშე საქმეთა კომისარიატის განცხადება... 12 ივნის რუსეთის მთავრობამ წინადადება მისცა მეზობელ სახელმწიფოთ მოეწვიათ კონფერენცია განიარაღების საკითხის შესახებ. რუსეთის მთავრობას ეჭვიც არ შესვლია იმაში, ყველა სახელმწიფოს მთავრობები სიხარულით მიიღებდენ ჩვენ წინადადებას მაგრამ პასუხების დაგვიანება, რომელიც მიღებულ იქმნა ერთი თვის შემდეგ, მათი გაურკვევლობა, არაპირდაპირობა და თავისებური კამპანია მათ პრესაში წარმოებული გვაფიქრებიებენ, რომ მეზობელ სახელმწიფოთა მთავრობები არცთუ სიხარულით ღებულობენ ჩვენ წინადადებას ასე, მაგალითად, პოლონეთის მთავრობამ მოითხოვა კონფერენციის გადადება მანამდე, სანამ ეს საკითხი განხილულ არ იქნება ერთა ლიგაში. ეს ფაქტიურად ნიშნავს კონფერენციაზე უარის თქმას. ფინლიანდიის მთავრობა გვთხოვს შევატყობინოთ, რომელმა სახელმწიფომ განაცხადა თანხმობა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ფინლიანდიის, ლატვიისა და ესტონეთის მთავრობანი თხოულობენ წინდაწინ ეცნობოს მათ კონფერენციის დღიური წესრიგი. რუსეთის მთავრობა მხედველობაში იღებს რა იმ საკითხის ღრმა მნიშვნელობას, ხელმეორედ მიმართავს მათ კონფერენციის მოწვევის წინადადებით და სვამს კონფერენციის დღის წესრიგში ერთად-ერთ საკითხს—განიარაღების შესახებ.

კონფერენციის მოწვევა განზრახულია 5 სექტემბრისათვის ქალ. მოსკოვში.

# ჩამოყალიბება პარტიის პოლიტიკის თეორია

(დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი).

7.

ამ გვარად, ამ თეორიების მიხედვით იმ დუალისტურ ტაქტიკას, რომელსაც ადგა ჩვეულებრივად ცენტრი და რომელსაც ერთს ხელში ეჭირა გამზადებული თეორია კაპიტალიზმის ევოლიუციის და მისი თვითლიკვიდაციის შესახებ, მეორე ხელში კი სადავე, რომლითაც ატარებდა პროლეტარიატს აქტიურს პოლიტიკისაგან და უმოქმედო ლოდინის პოზიციაზე სტოვებდა, ძირი გამოეთხარა და სოციალიზმის განხორციელებისათვის წამოყენებულ იქმნა სუბიექტიური თეორიის ელემენტებიც. თვით კაუცკი თავის წერილში კატეგორიულად აცხადებს, რომ აწი აღარ მთელის სოციალიზმის კაპიტალიზმის თვითდარღვევისაგან. უფრო მეტი, როგორც კამკოვი აღნიშნავს, კაუცკი ფიქრობს, რომ უკვე „კომუნისტურ მანიფესტში“ სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო სოციალიზმს აუცილებლობის შესახებ არა კაპიტალისტური განვითარების შინაგან დინამიკაზედ, არამედ მის დაპყრობაზე დემოკრატიის მიერ. „ყოველთვის,—ამბობს კაუცკი,—დაწყებული კომუნისტურ მანიფესტიდან, სოციალიზმის მოლოდინი დაკავშირებული იყო პოლიტიკურ მოქმედებასთან და არა კაპიტალისტური წარმოების წესის შეუძლებელ კატასტროფის დასაწყისთან“. (იქვე გვ. 54).

მეორე ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ცენტრისტული მიმართულებისა, რ. ჰილფერდინგი გადაჭრით აცხადებდა თავის მეტად ცნობილ „ფინანსიურს კაპიტალში“, რომ პოლიტიკური ძალაუფლება წინასწარი პირობაა ეკონომიური განთავისუფლებისათვის. ჰილფერდინგმა მთელი თეორია განავითარა ამ დებულებაზე და დაასკვნა: „ეკონომიური ძალა-უფლება გულისხმობს აგრეთვე იმავ დროს პოლიტიკურ ძალასაც. ბატონობა მეურნეობაზედ იძლევა იმავ დროს ბატონობას სახელმწიფოებრივი მმართველობის პოლიტიკურს რესურსებზედაც. რამდენადაც მაღალია კონცენტრაცია ეკონომიურს სფეროში, იმდენად შეუზღუდველია სახელმწიფოს ელემენტები. ასეთი მკაცრი თავის მოყრა სახელმწიფოს ყველა ძალებისა წარმოადგენს მისი ძალების უდიდეს განვითარებას, სახელმწიფო—დაუძლეველს იარაღს ეკონომიური ბატონობის დასაცავად, ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა წარმოადგენს ეკონომიური განთავისუფლების წინასწარ პირობას“.

(იხ. Р. Гильфердинг „Финансовый капитал“ გვ. 552).

შემდეგში ჰილფერდინგმა უფრო ნათლად გამოსთქვა თავისი აზრი და სოციალიზმის განხორციელების საკითხი პოლიტიკური ძალა-უფლების მომენტებს დაუკავშირა. „არსებითად—ამბობდა ავტორი,—საკითხი კაპიტალიზმის მომწიფების შესახებ არის საკითხი არა ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათისა“.

ჰილფერდინგის განმარტებით, ეკონომიურად სოციალიზმისათვის უკვე მომზადებული არის ნიადაგი, მხოლოდ საჭიროა პროლეტარიატმა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება და თავის ნებაზედ მოჰმართოს მთელი სახელმწიფოს აპარატი.

როგორც ვხედავთ შეხედულება და პოლიტიკური ხაზი ცენტრისტების წინანდელი ბელადების, რომელნიც მოქმედებდნენ და მოღვაწეობდნენ ფინანსიური კაპიტალის განმტკიცების წინა დღეებში და რომელნიც მთელს თავიანთს თეორიას სამრეწველო კაპიტალის ტენდენციებზედ აგებდნენ უმთავრესად, საკმაოდ განსხვავდება იმ შეხედულებათაგან, რომელსაც აყენებენ ფინანსიური კაპიტალიზმის ავტორნი ჰილფერდინგ-კაუცკი. ბებელ-ლიბკნეხტისა და ჰილფერდინგ-კაუცკის შეხედულებათა შორის საკმაოდ მოზრდილი დისტანცია არსებობს და ეს გამომხატველია ორი დიდი ეპოქაში, ორი დიდი პერიოდის კაპიტალიზმის განვითარებაში.

მეოცე საუკუნის კ. კაუცკი უკვე რევოლიუციონერის ენით ლაპარაკობს და სოციალური რევოლიუციის მოახლოვებაზე მსჯელობს. ის აღარ ურჩევს პროლეტარიატს ხელ დაკრეფილი ილოდინოს და არც კაპიტალიზმის მისიაზედ ამყარებს დიდს იმედებს. მან განიცადა და შეიგნო თანამედროვე ეპოქის სული და იმპერიალიზმის გამანადგურებელი შედეგები. ამიტომ ის კაპიტალიზმის შემდეგ განვითარებაზედ კი არ ამყარებს თავის იმედებს, არამედ სოციალურს რევოლიუციაზედ, პროლეტარიატის აქტივიზმზე, სოციალიზმისათვის ნიადაგი უკვე მზად არის—ამბობს კაუცკი, მხოლოდ საჭიროა შეგნებული მოქმედება პროლეტარიატისა, რომ გადაიტანოს კრიზისები და მოაწესრიგოს მიზანშეწონილად მთელი მეურნეობა.

კაუცკის „Путь к власти“ (1909 წ.) ამბობს სტეპანოვი,—სდგას ორი ეპოქის საზღვარზედ კაცობრიობის ისტორიაში. ეს დიდი ღირებულება ამ წიგნისა გამოიხატება როგორც მის დადებითს, ისე უარყოფითს მხარეებში. კაუცკი გრძნობს, რომ მოახლოვებულია დიდი გადამწყვეტი ეპოქები და ამისაკენ მოუწოდებს პროლეტარიატს, მაგრამ, მეორეს მხრით, მის მოწოდებას თან ახლავს ერთგვარი ოპორტუნიზმი, ძველი ცოდვების ნაშთები და სიტყვის. განცხადებიდან ვერ ზედავს საკითხი რეალურად დააყენოს და პრაქტიკულ პოლიტიკის აუცილებელ პირობად დასახოს. მისი მსჯელობა იყო რთული ხასიათისა და სრულებით არ სცდილობს რეალურს ცხოვრებაში გადმოიტანოს და მას ხორცი შეასხას. ეს არის ის ძირითადი ცოდვა, რომელითაც დაავადმყოფებული არის ცენტრიზმი. თეორიული რევოლიუციონიზმი და პრაქტიკული ოპორტუნიზმი,—აი რა ახასიათებს დღესაც მას.

კაუცკი თავის წიგნის პირველსავე თავში აკრიტიკებს რეფორმისტებსა და უარყოფს სოციალიზმის მშვიდობიანობის გზით განხორციელებას. მას არა სწამს ის ტაქტიკა, რომელსაც წარმოუდგენია სოციალური რევოლიუცია „სავსებით თანდათანობითი შეცვლით საზოგადოებრივი ურთიერთობისა. ამის საწინააღმდეგოთ კაუცკი ამბობს, რომ „სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება არის იარაღი კლასიური ბატონობისა, უფრო მეტი—ყველაზე უფრო ძლიერი იარაღი, და ამიტომ სოციალური რევოლიუცია, რომლისაკენაც მიილტვის პროლეტარიატი, შეუძლებელია განხორციელებულ იქმნას, სანამ არ დაიპყრობს პოლიტიკური ძალაუფლება“. (იხ. მისი: „Путь к власти“ გვ. 15.) ამაში ხედავს კაუცკი განსხვავებას სოციალ-დემოკრატების ოუენის, ფურიესა და პრუდონის მიმდევრებისაგან, რომელნიც უარყოფდნენ პოლიტიკურს ბრძოლასა და ფიქრობდნენ, რომ ეკონომიური გარდაქმნა საზოგადოებისა შესაძლებელია მხოლოდ წმინდა-ეკონომიური საშუალებებით, გარეშე სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების შეცვლისა და დაპყრობისა.

„თან და თან მეტად ნათელი ხდება, ამბობს კაუცკი, რომ რევოლიუცია შესაძლებელია მხოლოდ როგორც პროლეტარული რევოლიუცია, რომ იგი შეუძლებელია, სანამ დარაზმული პროლეტარიატი არ წარმოადგენს ძალას საკმაოდ მოზრდილსა და კომპაქტურს, რომ შესძლოს ხელსაყრელს პირობებში გაიტაცოს ხალხური მასები. მაგრამ თუ მარტო პროლეტარიატი წარმოადგენს ერთად ერთს რევოლიუციონურს კლასს [illegible] ნაციონალ, მაშინ, მეორეს მხრით, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ყოველგვარი დარღვევა თანამედროვე წყობილებისა იქნება ეს მორალური, ფინანსიური თუ სამხედრო ხასიათისა,—ნიშნავს თავისთავ გაკოტრებას ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისას, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ყველა ამისათვის და ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილ „ტუპიკიდან“ არის პროლეტარიატის ბატონობის დამყარება“ (იქვე—19) აღსანიშნავია გარემოება, რომ კაუცკიმ ჯერ კიდევ 1909 წელში აღნიშნა აღმოსავლეთის და ჩამორჩენილ ერების გამოღვიძება და კოლონიალური რევოლიუციების მნიშვნელობა ევროპის კაპიტალიზმის დასუსტების საქმეში. ავტორი აღნიშნავს განსხვავებას წარსული და ახალი რევოლიუციების შორის და ამბობს: „თანამედროვე პირობებში ბრძოლის მოედანს შეადგენს მთელი მსოფლიო. დღევანდელ დროში შეტაკებანი განმანთავისუფლებელი ბრძოლებისა მშრომელი და ექსპლოატირებული კაცობრიობისა სწარმოებს არა მარტო შპრესა და სენის ნაპირებზედ, არამედ განგისა და მისისიპზე, ნევასა და დარდანელზე, განგსა და გომბოზზე“. (გვ. 123). ავტორმა გარკვევით აღნიშნა, რომ ევროპის კაპიტალიზმის პოლიტიკამ გამოაღვიძა ჩამორჩენილი ერებიც აღმოსავლეთისა და აფრიკისა და მათაც თავიანთი მოქმედება მიმართეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომ მოიპოვონ ნაციონალური დამოუკიდებლობა. ამ მომენტს დიდი რევოლიუციონური ღირებულება აქვს. (დაწვრილებით გვ. 115—19).

კაუცკიმ დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა თანამედროვე პოლიტიკურს სიტუაციისა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „საერთაშორისო ომი გვიახლოვდება გამანადგურებელი სიახლოვით, მაგრამ ომი, როგორც გვიჩვენა უკანასკნელი ათეული წლების გამოცდილება, ნიშნავს რევოლიუციასაც... პროლეტ-

### ბალტიის მხრის სახელმწიფოთა შეთანხმების შესახებ

**მოსკოვი** 24 აგვისტო. ფინლიანდიის მთავრობამ აცნობა პოლონეთისა და ესტონიის მთავრობებს, რომ ფინეთის პარლამენტმა გაუქმა ის შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილ იქნა ვარშავაში 16 მარტს.

### კლარა ცეტკინა პეტროგრადში.

**მოსკოვი** 24 აგვისტო. პეტროგრადში 23 აგვისტოს მოსკოვიდან ჩავიდა კლარა ცეტკინი, რომელსაც სადგურზე შეხვდენ პიტერის მუშაკალები, მეზღვაურები, წითელარმიელები და მუშები. ცეტკინმა ააღელვა გულმხურვალე მისალმებამ და მადლობა გადაუხადა პიტერის მუშებსა და მუშა ქალებს. სადამოს ქალაქის რაიონში ცეტკინას გაუმართეს ამხანაგური შეხვედრა.

### სასოფლო მეურნეობის მუშების კონგრესი.

**მოსკოვი.** 24 აგვისტო. 20 აგვისტოს, ვენაში გაიხსნა სასოფლო მეურნეობის მუშების პროფკავშირთა 2-ე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე თავმჯდომარეობს ინგლისის დელეგატი სმიტი. მოხსენება გააკეთა ადლერმა. პირველ რიგში კონგრესმა განიხილა საკითხი სასოფლო მეურნეობის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

### შორეულ აღმოსავლეთში.

**მოსკოვი.** 24 აგვისტო. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ამურის საოლქო სამმართველოს დელეგაციას რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა რუსეთის მცხოვრებნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ, იაპონიის სარდლობის წარმომადგენლებმა განუცხადეს დელეგაციას, რომ ნიკოლაევის რაიონში ევაკუაცია ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდება.

### იტალიის ხის დამმუშავებლები.

**მოსკოვი.** 21 აგვისტო. იტალიის ხის—დამმუშავებელთა ფედერაციის მიმართა თხოვნით პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტს და ხის-დამმუშავებელთა სრულიად რუსეთის კავშირს, რათა მხარი დაუჭირონ იტალიის გაფიცულ ხის-დამმუშავებელთ.

პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის ხის-დამმუშავებელთ. მიმართვაში მოუწოდებენ მატერიალურად დაეხმარონ გაფიცულ ამხანაგებს.

ხის-დამმუშავებელთა სრულიად რუსეთის ცეკამ გამოაქვეყნა მიმართვა ყველა თავის წევრებისადმი, რომელთაც წინადადება მიეცათ გადასდონ დღიური შემოსავლიდან 25 პროც. ცეკამ გადასდო თავის თანხიდან 500 მილიონი მანეთი უცხოეთის ვალიუტით.

### რას ფიქრობს ვილჰელმი.

**პარიზი.** გაზეთ „ნიუ-იორკ-ტაიმსში" ყოფილმა ბარონმა რადოვიცმა გამოაქვეყნა საუბარი ექსკეიზერს ვილჰელმთან დორპატში. რადოვიცის სიტყვით ვილჰელმი ძალიან ბევრს ლაპარაკობს, რითაც ის ძალიან აწუხებს მისი გარშემო მყოფი გერმანეთის რესპუბლიკას ის სთვლის დროებით მოვლენათ. რამდენიმე წელიწადში რა საშუალებით გამოურკვეველია, მაგრამ მონარქია აღდგენილ იქნება, მხოლოდ არც ის ვილჰელმი და არც საერთო ჰოჰენცოლერები ტახტს არ დაუბრუნდებიან ბავარიის ვიტელსბახში. ვილჰელმის შეკითხვაზე: „რას ფიქრობს ახალი მთავრობა ჩემზე ვილჰელმა მიიღო პასუხი. „არაფერს", რაზედაც მან ღრმად ამოიოხრა და განაცხადა „მე ერთად ერთი სურვილი მაქვს—არ გამოვჩნდე არასოდესო".

ვილჰელმი გაცნობილია გერმანიის ყველა საქმეებს, უაპელიაციოთ ბრალსდებს ვისბადენის შეთანხმებას, მისი აზრით, არ აქვს საერთაშორისო ხელშეკრულების ხასიათი, არამედ არის უბრალო ხელშეკრულება ორი კაპიტალისტურ ჯგუფის შორის. ვილჰელმი წინააღმდეგია გერმანიის და ავსტრიის კავშირისა, იმიტომ, რომ პირველს ავსტრიის გარეშეც სხვაც ბევრი საქმეები აქვს, და არ არის საჭირო მოახვიონ თავზე კიდევ ისეთი უაზრობათ მიაჩნია თავს მოიხვიოს კიდევ ისეთი აწეწილ-დაწეწილი სახელმწიფო, როგორიცაა ავსტრია.

ვილჰელმის აზრით, ავსტრო-უნგრეთი კვლავ ვერ აღორძინდება, მოსალოდნელია მხოლოდ ავსტრიის, სამხრეთ-სლავიის, ჩეხო-სლოვაკიის ურთიერთ შორის ეკონომიურ კავშირში გაერთიანება, ხოლო უვენგრიოთ. როდესაც მას უთხრეს, რომ ეს აზრი ანტანტის იდეებს ეთანხმება, ვილგელმმა სთქვა: „რა ვუყოთ, ნუ თუ არ შეიძლება მეც ისეთივე იდეები მქონდეს, როგორიც ჩემს მტრებსაო".

# ახალი ამბები

— **მუშათა უბანი.** ცენტრალური საბინაო კოოპერატივი სახალ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს საამშენებლო განყოფილების და უკვე შემდგარ საამშენებლო ამხანაგობათა საშუალებით უკვე 1 ენკენისთვიდან შეუდგება მუშათა სახლების საფუძვლის ჩაყრას.

პირველად ახალი სახლების შენება იწყება ვერაზედ ჯვრის ძეგლს ზემოდ, სადაც ამისათვის დანიშნულია მოედანი 2 ნახ. დესეტინა.

მეორე რიგში სახლების შენება დაიწყება პირველ რაიონის პირდაპირ ზოზარჟიანცის თუთუნის ქარხნის ზემოდ, სადაც ქალაქმა ამ საქმისათვის გადასდო ერთნახევარი დესეტინა მიწა.

— **ეპიზოოტია.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის საზეითლო განყოფილების ცნობით 1-დან—8 აგვისტ. ეპიზოოტიის მსვლელობა შემდეგი იყო: **საქონლის ჭირი.** საქონლის ჭირი აღმოჩენილია ახალქალაქის მაზრის შემდეგ სოფლებში: ხოვეტში, ერინჯაში, ოკამში, ვარევანში, კურიდადემში და კაჩნოში უკანასკნელ სოფელში საქონელი აცრილია.

სიღნაღის მაზრაში ჭირი აღმოჩენილია შემდეგ სოფლებში: კარსუბანში, ზემო და ქვემო მასნალგორში და შრომაში. არც ერთ სოფელში საქონლის სიკვდილი არ ყოფილა. გორის მაზრაში საქონლის ჭირი აღმოჩენილა შემდეგ სოფლებში: ქვიშხეთში (კარანტინი გახსნილია), ამისიოთაფაში და ხემპერში (საქონელი აცრილია), კაკალაეთხევში (დაიხოცა 3 სული საქონელი) მეტეხში (დაიხოცა 30 სული) და წერეთაში (დაიხოცა 5 სული). ახალციხის მაზრაში სოფ. ტამალაში და ქ. ახალციხეში (საქონელი აცრილია). **ციმბირის ჭირი.** ციმბირის ჭირი აღმოჩენილ იქნა ოზურგეთის მიზრის შემდეგ სოფლებში ჯუმათში (დაიხოცა 4 სული).

— **მეცადინეობა სასწავლებლებში** განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, დაიწყება 25 სექტემბრიდან, ხოლო გამოცდები მისაღებათ 20 სექტემბრიდან.

— **მე-3 ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ტფილისში არსდება ცეცხლის მქრობელი რაზმის მე-3 ნაწილი, რომელიც მოთავსებული იქნება ავლაბარში, ყოველივე მზად არის რაზმისათვის, საჭიროა მხოლოდ ბინის აღმოჩენა.

— **ფოთი.** ქალაქში და ნავთსადგურში ხოლერა არ არის. მთელი ივლისის განმავლობაში იყო მხოლოდ 4 შემთხვევა. ხოლერიდან თავისუფალია ოჩემჩირე, გუდაუთა და გაგრაც.

— **დიდი ლატარია დამშეულთა სასარგებლოდ.** დამშეულთა სასარგებლოდ ფინანსთა კომისარიატის მიერ მოწყობილ ლატარიის ბილეთების რიცხვი არის 120 000, 12 მილიარდის ღირებული საერთოდ. თითოეული ბილეთი იყოფა 4 კუპონათ ღირებულად 25,000 მანეთათ.

— **ბათომი.** ბათომის ჯანმრთელობის განყოფილებამ ტელეგრაფით მიმართა ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატს ხოლერით ავადმყოფთა ბარაკების დახურვის შესახებ, რადგან ხოლერა სრულებით არ არის ქალაქში.

---

რიატი ამ ჟამად იმდენად გამაგრდა, რომ მას დიდი დამშვიდებით შეუძლია ელოდეს ომის მოახლოვებას. რევოლიუციის უდროობაზე შეუძლებელია აწი ლაპარაკი მაშინ, როდესაც პროლეტარიატმა შესძლო გამოეკრიფა არსებულ სახელმწიფოებრივ საფუძვლებიდან იმდენი ძალა, რამდენიც შესაძლებელი იყო მისგან გამოკრეფა, და როდესაც მისი გარდაქმნა შეიქმნა პროლეტარიატის შემდეგი ალორძინების პირობად". (იქვე გვ. 119—20).

ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველი კაუცკის წიგნზე („გზა ძალა-უფლებისაკენ), რომელიც მეტად დამახასიათებელია და [illegible] არის შიგ [illegible] ისეთი მოსაზრებანი, რომელიც სავსებით ამართლებს თანამედროვე რევოლიუციონურს პოლიტიკას. წიგნის დასკვნა საერთო პოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ერთი სწორი ხაზით მიემართება: ახლოვდება საერთაშორისო ომი, რომელსაც შესცვლის რევოლიუცია და პროლეტარული რეჟიმი.

ასეთია ის დებულებანი და შეფასება, რომელიც გაუკეთა პრინციპიალურად კაუცკიმ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას. ეს პრინციპიალური შეფასება გარკვეულ პოლიტიკის „წარმოებას მოითხოვდა, რომლის მთავარი კონტურები უკვე მოხაზა თავის წიგნში (1909 წ.) კაუცკიმ. მაგრამ, როდესაც საერთაშორისო ომმა იფეთქა და შემდეგ ეს ომი რევოლიუციამ შესცვალა რუსეთსა და ცენტრალურს ევროპაში, კაუცკი და მთელი ცენტრისტული პარტია მათ მიერ პრინციპიალურად მოხაზულ პოლიტიკის საწინააღმდეგო პოზიციაზე აღმოჩნდენ. ზოგი მათგანი სავსებით ჩაება ომის პროცესში და შემდეგ რევოლიუციონურს ვითარებას გადაეღობა წინ ნოსკეს პარტიასთან ერთად, ზოგმა კი ჩვეულებრივად გულზე ხელი დაიკრიფა და უმოქმედო პოზა მიიღო.

აღსანიშნავია ის, რომ მეორე ინტერნაციონალის გენერალისიმუსი კარლოს კაუცკი, საერთაშორისო ომის დასაწყისში უჯარო გენერლად დარჩა და მისი თანაშემწეები საწინააღმდეგო ბანაკში გაიპარნენ. კაუცკი ერთობ პრიმიტიულად ხსნიდა მეორე ინტერნაციონალის დაშლას: მისი წარმომადგენლით ინტერნაციონალი მშვიდობიანი დროის მანქანაა, რაკი ომი დაიწყო ამ მანქანამაც შესწყვიტა თავისი მუშაობა. ამის შესახებ ირონიულად შენიშნა აწ განსვენებულმა ფ. მერინგმა: კარგი მანქანა ყოფილა, რომელიც საჭიროების დროს ჩერდებაო. (იხ. Эрвис: „Война Германская с.—д. тия").

ამ ფაქტებიდან ნათლად მტკიცდება, თუ როგორი დამოკიდებულება არის ცენტრისტების სიტყვასა და საქმის, მათ პრინციპიალურს განცხადებებსა და პრაქტიკულს პოლიტიკის შორის. მათმა სიტყვამ არ იცის შესაფერისი პრაქტიკა. პრინციპიალურად მიღებული პოლიტიკური ხაზი თეორიულადვე დასაბუთებული, სამოქმედო პროგრამა, როდესაც რეალურს სინამდვილეს უახლოვდება სულ სხვა გვარი სამოსით იმოსება. „სიტყვა სხვა, საქმე სხვა", შუა უზის დიდი ზღვარი".

პრინციპიალური რევოლიუციონიზმი და პრაქტიკული ოპორტუნიზმი,—ეს იყო დამახასიათებელი დუალიზმი მთელი მეორე ინტერნაციონალისა და მის დაძლს შვილსაც დამოუკიდებელს პარტიას თან დაყვა ეს უკურნებელი სენი. პრაქტიკული ოპორტუნიზმი—აი რა ახასიათებს დამოუკიდებელთა მოქმედებას როგორც საერთაშორისო ომის დროს, ისე დიდი რევოლიუციონურს მოძრაობაში. ვერც ერთს მომენტში ამ ოპორტუნიზმისაგან ვერ განთავისუფლდა თავი ცენტრმა და დღეს, შეიძლება ითქვას, იგი სამუდამოდ გადაყვა ამ ავადმყოფობას.

**სიმონ ხუნდაძე.**

(შემდეგი იქნება).

# ზემო მესხეთიდან

## უპატრონო ქალაქი.

(უწყლობა ახალციხის ქალაქის ძველ ნაწილში).

რამდენიმე წელია ჩვენ ქალ. ახალციხის ძველი ნაწილის მცხოვრებლები დიდს და აუტანელ გაჭირვებას განვიცდით წყლის უქონლობის გამო.

თუ წინეთ ქალაქის ძველ ნაწილში ხუთასზე მეტი მოსახლე იყო დღეს ორასს აღარ აღემატება სწორედ წყლის მიზეზით, ძველი ნაწილის მცხოვრები სტოვებს მამა პაპეულს ადგილებს და სახლდება სხვა ქალაქებში და ან ახალციხის ქალაქის ახალ ნაწილში.

ქალაქის ძველი ნაწილის მცხოვრებლები მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ოჯახს ბერძნებისას, რომლებიც თითებზე ჩამოითვლებიან, ახალი გადმოსახლებულნი არიან.

ეს მოხსენებული ქართველები ტანჯვით ნაშობნი და ცრემლით აღზრდილნი, ისედაც უსახსრობის გამო ფრიად კრიტიკულ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და მას ზედ მეტ ბარგად ედება ერთი უპირველესი საგანი ადამიანისა—წყალი.

ქალაქის ძველი ნაწილის მცხოვრებს ორი-სამი ვერსის მანძილზე უხდება წყლის ზიდვა, წამოღება მდინარე მტკვრიდან, რომელიც ხშირად ანღვრეულია და თუ არ ამდუღებთ წყალს, შეუძლებელი ხდება მისი დალევა სიბინძურის გამო.

ასეთი ჩვენი უმწეო და აუტანელი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება ცივს, თოვლიან-ყინულიან ზამთარში.

ჩვენ ათასჯერ მივმართეთ ნეტარ ხსენებულ დაშნაკელთა ქალაქის საბჭოს და აგრეთვე იმ დროის გაბატონებულ მენშევიკების მთავრობას.

დაშნაკელთა ქალაქის საბჭოს, და ქალაქის გამგეობას, რომელიც სათავეში უდგა დაშნაკელების „წმინდა მამა" ცნობილი დაშნაკელი და ქართველი ერის მოსისხლე მტერი ზორი ცორიანცი.

აბა ეს ზორი ზორიანცი ჩვენი მოსისხლე მტერი რასმე კეთილს გააკეთებდა ჩვენთვის, ქალაქის ძველ ნაწილისათვის, სადაც დასახლებული იყვნენ ქართველები? რასაკვირველია არაფერს და ცხადზე უცხადესია, რომ ჰას, (ზორიანცს) ჩვენთვის არაფერი არ გაუკეთებია, გარდა მტრობისა...

მრავალ გზის ვედრების და თხოვნის შემდეგ როგორც იყო მიაღწია ჩვენმა ცრემლიანმა ვედრებამ ყოფილ მენშევიკების მთავრობასთან და მან კეთილ ინება და გადასდო საჭირო თანხა ახალციხის ყოფ. ერობის განკარგულებაში წყლის საჭიროებისათვის, მაგრამ როცა დაეცა მენშევიკების მთავრობა და გაბატონდა საბჭოთა ძალა-უფლება, ეს გადადებული ფული მგონი 900,000 მან. იყო სადღაც გაქრა და საუკუნოდ განისვენა...

ჩვენ დღევანდელ ხელისუფლებასაც მივმართეთ მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ დღემდე არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია ჩვენთვის,—და ჩვენ ისევ უწყლობით ვიხრჩობით, როგორც ვიხრჩობოდით აქნობამდე... და მშველელი დღესაც არავინ გვყავს...

ავიღოთ ახლა ახალციხის ქალაქის ახალი ნაწილი აქ ყოველ სამი ნაბიჯის გადადგმაზე ნახავთ წყალსადენს და ძველი ნაწილის მცხოვრები კი ორას კვამლზე მეტი უწყლობით რამის სული ამოხდეს...

აღმასკომის ეკონომიური განყოფილებამ ერთ წყალსადენს ბუტკაც კი გაუკეთა და ასე დანიშნულ დროზე აძლევს წყალს და ჩვენ, ქალაქის ძველ ნაწილის მცხოვრებლებზე და წყალ-სადენზე კი არაფერი იფიქრა და არც მომავალში ფიქრობს... სამწუხაროდ კვლავ გვქონდა დაშნაკელების ქალაქის გამგეობა და საბჭო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ახალ ნაწილზე, სომხებზე ფიქრობდა დღე და ღამე—სჩანს ასევე იქცევა ჩვენდავე სამწუხაროდ აღმასრულებელი კომიტეტი (ეკონ. განყოფ.) თორემ ჩვენს მრავალ გზის თხოვნას და მუდარას სათანადო ყურადღებას მიაქცევდა...

საზოგადოდ კომუნისტები ყოველთვის და [illegible] მშრომელი ხალხის, [illegible] დამცველები [illegible] როდ მარტო სიტყვით კი არა საქმითაც უნდა დაამტკიცონ მათ ესეთი.

ყველამ დიდმა და პატარამ იციან, რომ ჩვენ, ქალაქის ძველი ნაწილის მცხოვრებლები ფრიად ღარიბი ხალხი ვართ, ვცხოვრობთ ღარიბულად, პროლეტარულად, და არ ვიმყოფებით ისეთ ფუფუნებაში, როგორიც არიან ქალ. ახალ ნაწილის მცხოვრებლები.

თანახმად ახალციხის კოპერატივ „მესხეთის" საზოგადო კრების დადგენილებისა ა. წ. 18 ივნისის თარიღით კოპერატივ „მესხეთს" დაავალა კრებამ გადასდოს ხუთი მილიონი მან. წყალ სადენის საჭიროებისთვის. ა. წ. 18 ივნისს კოოპერატივ „მესხეთმა" მისცა პირადად ადგილობრივ საინჟინერო დისტანციის ტეხნიკოსს ხმელევსკის რვაას თერთმეტი ათასი მანეთი წყალსადენის მილების საჭიროებისათვის მის შესაკეთებლად.

მართლაც მოხდა სასწაული, გადმოვხედა ღმერთმა და წყალიც გამოვიდა, წყალსადენმა იწყო დენა ასე ერთი კვირა, რის შემდეგ ამ აწყო დღემდე კვლავ შესწყდა.

ჩვენ ძალან გვაინტერესებს და გვინდა გავიგოთ რისთვის აიღო ტეხნიკოსმა ხმელევსკიმ ზემოდ აღნიშნული თანხა მართლაც „წყალსადენის მილების შეკეთებისათვის" თუ თავისი საკუთარი ჯიბის შეკეთებისათვის.

იბადება კითხვა თუ წყალ სადენს ესაჭიროება მილების რემონტი, შეკეთება, მაშინ რვაასი ათასი კი არა რვა მილიონიც არ ეყოფოდა. რა იყო მიზეზი, რომ საინჟ. დისტანციის ტეხნიკოსმა ხმელევსკიმ ფული აიღო თუ არა ერთი კვირა წყალმა იდინა და შემდეგ უეცრ შეწყდა. ალბათ მას კვლავ თავისი ჯიბის შეკეთება უნდა ყოველ კვირას.

ამ ჟამად ციხეში ჯარი არა დგას. წყალი საკმაოდ ბევრია, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არის ხოლოდ ქალ. ახალ ნაწილისათვის, ბურჟუაზიისათვის და არა ქალ. ძველი ნაწილისათვის პროლეტარიისათვის.

საჭიროა სასწრაფოდ ძალით მიძინებულმა ახალციხის აღმასკომმა გამოიღვიძოს, მიიხედ, მოიხედოს, აიხედ-ჩაიხედოს და ნათლად გაარკვიოს თუ რა ხდება მის თვალწ წინ, თუ როგორი ვიტანჯებით ჩვენ ძველი ნაწილის ქართველობა უწყლობით.

აღმასკომის წევრები, ერთხელ მაინც ამობრძანდნენ ქალ. ძველ ნაწილში უქეთ, რომ ვსთქვათ ნამდვილ ახალციხეში და პირადად გაიგონ ჩვენი ცრემლიანი ტანჯვა ვაება და მწუხარება.

ჩვენი სრული იმედი გვაქვს, რომ სათანადო ყურადღებას მიაქცევს ის საბ. უწყება, რომლის კომპეტენციაში შედის ეს საკითხი.

**ტანჯული მესხი.**

# ბინის საკითხის გარშემო

## განმარტება.

თბილისის ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. 18 ნოემბრის, № 50 ბრძანებით, კერძო პირთათვის დაწესებული იყო საცხოვრებელი ბინის ნორმათ 15 კვად. არშ. სულზე და ნორმაზე ზედმეტი ნაწილი 10 კვად. არშინამდე თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. ხოლო 10 კვ. არშ. ზევით გადასახადი იმდენივე უნდა ყოფილიყო, რამდენიც დაწესებული იყო მთელ ნორმაზე. ე. ი. 15 კვ. არშინზე, თბილისის ქალაქის აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 4 გამოქვეყნებისას, („პრავ. გრუზ." 1920 წ. 30 მარ. № 323) ნორმათ განსაზღვრული იქნა 25 კვ. არშინი სულზე, ხოლო დადგენილება ნორმაზე ზედმეტი ნაწილის შესახებ გაუქმებული იქნა. შინაგან საქმეთა კომისარიატის დადგენილების გამოქვეყნებით, რომელიც დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წ. 16 ივნისს, ნორმათ სულზე დარჩენილ იქნა 25 კვ. არშინი, ხოლო ზედმეტი ნაწილისათვის (მისი რაოდენობის განუსაზღვრელად), ამ კანონდებულების მე 7 მუხლის თანახმად დაწესებულია ორმაგი ფასი თვითეულ არშინზე, ძირითადი ნორმის თვითეული კვადრ. არშინის საფასურთან შედარებით.

ამ რიგად წესდება, რომ პირველი კატეგორიის მცხოვრებლებმა, ამ ჟამად, უნდა გადიხადონ საცხოვრებელი ბინის ნორმაზე, თუ ვიანგარიშებთ 25 კვ. არშინი სულზე, 1000 მანეთი თვითეულ კვადრატიულ არშინზე, ხოლო ზედმეტი ნაწილისათვის 2.000 მანეთი თვითეულ არშინზე ზედმეტი ნაწილი უნდა იქნეს 25 კვ. არშინზე უფრო ნაკლები.

ქალაქის აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე—ი. წივწივაძე.

23 აგვისტო, 1922 წ.

## გაფრთხილება

სახალხო კომისართა საბჭოს № 9 დეკრეტის: „კერძო მფლობელობაში მყოფი სახლების საცხოვრებელი ბინების შესახებ“ მე-2 მუხლში ნათქვამია: სახლის მეპატრონენი ვალდებულნი არიან განაგონ და მოუარონ სახლებს პირადათ, ან განსაკუთრებული რწმუნებული პირის საშუალებით, გაუკეთონ მას აუცილებელი რემონტი და აღასრულონ ყველა განკარგულებანი ადგილობრივი ხელისუფლებისა როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა („პრავ. გრუზ.“ 1922 წ. 22 ივნის, № 365) ამავე დროს კი შემჩნეულია, რომ ბევრი სახლის მეპატრონე, გამგე თუ არენდატორია არ უკეთებენ სახლებს აუცილებელ რემონტს. ასეთი დამოკიდებულება სახლის მეპატრონეებისა, ან მათი მოადგილე პირებისა, სახლის მმართველობის მხრივ მათზე დაკისრებული მოვალეობისადმი, აიძულებს თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, მოაგონოს ამ პირებს მათი მოვალეობა და გააფრთხილოს ისინი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მომავალშიც შემჩნეული იქნება ასეთი დაუდევრობა დაკისრებულ მოვალეობათა ასრულებისადმი, დამნაშავენი კანონიერ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, ხოლო სახლები კი მათ ჩამოერთმევათ და გადაეცემა კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგებლობაში.

თბილისის ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგე.

ი. წავწავაძე.

28 | VIII 22 წ.

## სახალხო სასამართლო

**პრინციპიალური საქმე.** ამ დღეებში გარჩეულ იქმნა პრინციპიალური საკითხი სახალხო მოსამართლეთა საბჭოში. მოქ. ესიკოვსკის რწმუნებულმა უჩივლა ხელოვნების მუშაკთა კავშირს, სახალხო განათლების კომისარიატს და ცირკის მსახიობებს. მოითხოვდა, რომ შენობა მას დაბრუნებოდა.

პირველად ეს საკითხი გაარჩია ტფილისის 2 რაიონის სახალხო მოსამართლემ, რომელიც იმ აზრის იყო, რომ ცირკი, როგორც გასართობი, უნდა იყოს სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებაში და ამ უკანასკნელს შეუძლიან მოიხმაროს ისე, როგორც საჭიროდ დაინახავს. სახალხო განათლების კომისარიატის მოქმედებანი არ განიხილებიან სასამართლოში, არამედ საინსტანციო წესით, ე. ი. სახალხო კომისართა საბჭოში.

სახალხო მოსამართლეთა საბჭოში, სადაც მომჩივანმა გადაიტანა საქმე, რწმუნებულები საქ. პროფ. კავშირთა. საბჭოსი, სახ. გან. კომისარიატისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირისა სახალხო მოსამართლის გადაწყვეტილებას სცნობენ სამართლიანად, რადგანაც სახ. გან. კომისარიატის თანახმად აქვს უფლება მოახდინოს განკარგულებები თავის უწყებაზე და არც სახ. მოსამართლეს და არც სახ. მოსამართლეთა საბჭოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სახ. კომისარის განკარგულებაში.

სახალხო მოსამართლეთა საბჭო დაეთანხმა ამ მოსაზრებას და საჩივარი დასტოვა უყურადღებოდ.

## მოწერილი ამბები

**ახალციხის გამასწორებელ სახლის უმწეო მდგომარეობა.**

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ახალციხის გამასწორებელ სახლისათვის აგერ მეხუთე წელია და შეკეთება (რემონტი) არ მოუხდენიათ. კამერები საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ; „მტუკატურკა“ ჩამონგრეულია, კარ-ფანჯრების ჩარჩოები ალაგ-ალაგ ჩანტვრეულია, მინები ჩალეწილია, კედლებს გათეთრებიდან აღარას ფერი ეტყობა, იატაკებიდან სალებავი, მთლად გადამძვრალია, ღუმელები ჩამონგრეულია და არ მოქმედობენ, რის გამო შენობაში გაჩნდა სიბინძურე, კანის ავადმყოფობანი, მუნი, ბალღინჯო და კბენარი, საღი ადამიანი იქიდან გამოდის მუნით დაავადმყოფებული. სანათურის მაგიერ ანთობენ ჰრაქებს, რის გამო ისედაც ჩაშავებული კედლები უფრო იმურება და პატიმარი კი ჰრაქის ბოლით თითქმის იხრჩობა. გამასწორებელ სახლის აბანო აღარ მოქმედობს დიდი ხანია, ალბად უშეშობის გამო. საერთოდ გამასწორებელი სახლი იმყოფება ფრიად ანტისანიტარული მდგომარეობაში. მით უმეტეს, რომ აქ არიან პატიმრები მუსლიმანები (სოფლიდან) რომლების ხუთი-ექვსი თვეებით არიან დაპატიმრებულნი და რომლებიც ამ ხნის განმავლობაში ერთხელ და ან სრულიად არ იცვლიან საცვლებს და ისედაც სიბინძურეში მყოფნი საცოდავ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი და უკეთ, რომ ვსთქვათ სიბინძურით ავად ხდებიან და იხოცებიან.

ფრიად საჭიროა აბანოს კვლავ ამოქმედება რათაც არ უნდა დაჯდეს იგი. პატიმრების საბანებლად.

გამასწორებელ სახლში არ არის სამკითხველო-ბიბლიოთეკა რათა პატიმრებმა წიგნები იკითხონ ხოლმე და უბრალოდ ხუთი-ექვსი თვე არ გაატარონ ცუდათ.

საჭიროა სამკითხველო-ბიბლიოთეკის მოწყობა გამასწორებელ სახლში აუცილებელია ყოველ დღიური გაზეთების გამოწერაც.

საჭიროა აგრეთვე გამასწორებელ სახლში გაიხსნას სხვა და სხვა სახელოსნოები პატიმრებისათვის, რომლებიც ისწავლიან ხელობას რაც ყოველთვის მისთვის გამოსადეგი იქნება.

საჭიროა სათანადო სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული ვინაიდგან ჯერ არს თორემ გამასწორებელი სახლი საეპიდემიო ბუდეთ გადაიქცევა მერმე, გვიანღაა „თათებზე კბენა კი.“

საკნები უნდა განათებულ იქმნეს ლამფებით და არა ჰრაქებით. საჭირო ყურადღება დაუყოვნებლივ.

ტანუჯელი მესხი.

## ჩვენი თეატრი

ახლოვდება ჟამი, სულ ერთი თვეც და ტფილისის მელპომენის ტაძრის კარებიც გაიღება.

რას შვრება ამ დროს ქართული დრამა? ემზადება თუ არა ის სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლისთვის? ამის შესახებ არაფერი არა ისმის-რა. სდუმს ქართული პრესა, სდუმს ქართული დრამაც. ხალხი, კი შიშველია გულის ძგერით ელოდება მის ამეტყველებას.

თუ ქართული თეატრის ისტორიას თვალს გადავავლებთ, აშკარად დავრწმუნდებით, რომ ჩვენს ღარიბს თეატრს, მართლაც სილატაკეში გაუწევია თავისი მუშაობა. თქვენ ვერ გაიხსენებთ ისეთი წლის სეზონს, რომ ქართულ დრამას ნერვიულობა არ განეცადოს და არა თუ მარტო ნერვიულობა, არამედ ნამდვილი ტრაგედია: სიღარიბე, სიმშილ-სიცივე, სიტიტვლე, დავალიანება და ხაშინელი დამცირება—აი ხვედრი ქართული თეატრის ისტორიაში ქართველი მსახიობისა. ასეთი იყო ჩვენი ღარიბი თეატრის მდგომარეობა რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში უკანასკნელ დრომდე, მაგრამ საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადების შემდეგ კი ჩვენ სრული იმედი მოგვეცა საზოგადოდ და კერძოდ კი ქართული თეატრის აღორძინებისა, მაგრამ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, როგორც ყველა-გვარი, აგრეთვე თეატრის გაუმჯობესების საქმე მოხსნა დღიურ საკითხიდან და როგორც წარსული სეზონიდანაც დავინახეთ, ჩვენი თეატრის ყოფა-ცხოვრება ძველს მდგომარეობაში დარჩა.

ჩვენი აზრით, ალბად ამ გარემოების გამო იყო, რომ ამა მიმდინარე, ზაფხულის დამდეგს გაზეთებმა წინასწარ გვაცნობეს, რომ—ახლო მომავალში მოწვეულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს მსახიობთა ყრილობაო. ეს ყრილობა მართლაც შესდგა საგაზეთო ხრონიკების აღნიშვნით ისე, რომ ყრილობის მიმდინარეობა, როგორც ტფილისის ზოგიერთმა მსახიობებმა გადმოგვცეს—ჯერ კი გაუგიათ. ვიმეორებთ, ჩვენ წინასწარ არ ვიცოდით დაბეჯითებით, თუ ეს ყრილობა მორიგი ყრილობაა: მაგრამ ვფიქრობდით, რომ ყრილობა რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო მოწვეული ერთი რამ იქნებოდა გასაგები და სახელდობრ ის, რომ ყრილობას წყლული უნდა მოეშუშებინა დაავადმყოფებულ ქართულ თეატრისათვის, მოეწესრიგებინა ჩვენი თეატრის საქმე და ერთხელ და სამუდამოდ მოესპო ის ქაოსი, რომელიც დღეს არა თუ მარტო ქართულ თეატრს, არამედ საზოგადოდ ქართულ ხელოვნებას მოსდგმია.

ყრილობის მოწვევამდე, ამხ. ვახტ. გარრიკმა, რომელიც არის ახლო და კარგი მცოდნე ქართული როგორც თეატრის, აგრეთვე ხელოვნებისა, გაზ. „ტრიბუნი“-ს ფურცლებზე რამდენიმე წერილები დაბეჭდა, სადაც ის აღნიშნავდა მთელს დეფექტებს, კერძოდ კი ქართულ თეატრის დაქვეითებას, მისი აპარატის მოშლას, არევ-დარევას და ქართველი მშიერი მსახიობის თანამედროვე ტრაგიკულ მდგომარეობას. ვ. გარრიკმა თავის მიმოხილვებს „ისეთი დასკვნები გაუკეთა, რომ მოკლე სახით ქართულ თეატრის მთელი უბედურების მიზეზად თვითონ ქართველი მსახიობი გამოიყვანა. ჩვენ გარრიკის გულწრფელობაში იოტის ოდენა ეჭვიც არა გვესურს შევიტანოთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რამდენადაც სწორეა ამხ. გარრიკის დასკვნა, იმდენად, ცალმხრივი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნახევრად სწორე არ არის და აი რატომ: ვ. გარრიკმა თითქოს ისა სთქვა, რომ ქართველი მსახიობი არის ზარმაცი, ყოველგვარი ინიციატივის უნარს მოკლებული თეატრის საქმეში და რაღა თქმა უნდა, რომ მსახიობის ასეთი განყენებული შემოქმედება და პასივობა უეჭველად შეარყევდა ქართულ ხელოვნებას და კერძოდ კი აპარატს ქართულ თეატრის ცხოვრებისას. სრული ჭეშმარიტებაა. აქ ორი აზრი ჩვენსა და ვ. გარრიკს შორის შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ მარტო ქართველი მსახიობის პასივობა როდი არის მიზეზი იმისი, რომ ის (მსახიობი) მშიერი დარჩა და ქართული თეატრის საქმეც შეირყა.

მაშ რაშია საქმე?

რა არის ყველა ამების მიზეზი? ნუ თუ მარტო და მართლა მსახიობის სიზარმაცე და პასივობა?

რა თქმა უნდა არა.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია და ვერც ვერასოდეს შევურიგდებით იმ მდგომარეობას, რომ მსახიობი იყოს ერთ და იმავე დროს მსახიობიც და ორგანიზატორიც. ყოვლად წარმოუდგენელია მსახიობი ორგანიზატორი ისე, როგორც არის და ხდება დღეს. წარმოუდგენელია მსახიობის ხელოვნებისადმი პირნათელი სამსახური მაშინ, როდესაც ის მშიერია, ღარიბი, ავადმყოფი და ნერვებ აშლილი. დიახ, წარმოუდგენელია და მიუხვედრავად ამისა—ყველაფერა ეს დღეს ფაქტია.

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ჩვენი თეატრის საქმე გაცილებით უკეთესი იყო და დღეს კი სათეატრო საქმის მდგომარეობა სავალალოა. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ მსახიობი იცნობდა და ემსახურებოდა მხოლოდ თავის სასცენო ამპლუას და ამ ფუნქციას ის პირნათლად ასრულებდა როგორც თეატრის, აგრეთვე საზოგადოების წინაშე. რაც შეეხება ტეხნიკურ და სათეატრო აპარატს, მას მართავდა და ხელში ეპყრათ არა პროფესიონალურ მსახიობებს, მაგრამ სათეატრო საქმეების კარგად მცოდნე პირებს და მოღვაწეებს. მაშინ ასე იყო, დღეს ასე აღარ არის და ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ დღეს ქართული თეატრის საქმე შეფერხებულია. ალბად განახლებულ ცხოვრებაში განახლებულ ხელოვნებას, რომელიც პროლეტარიატის მიზნებს გამოსახავს, ვერ შეურიგდა ჩვენი ის ქართველი ინტელიგენცია, რომელსაც ყოველთვის არისტოკრატიული მიდრეკილება ახასიათებდა და ჩამოშორდა ხალხის საქმეს.

ამას გარდა ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა არის ცენტრალიზაცია რომლის მეოხებითაც დარღვეულია დღეს მთლიანობა სათეატრო მუშაობისა; ქალაქის განაპირა უბნები, როგორც მაგ. ნაძალადევში, ორთაჭალაში, ავლაბარში, ხარფუხში, ვერაზე, საბურთალოზე, დიდუბეში და სხვაგან, ყველა ამ უბნების პატარა თეატრში წარმოდგენების მონოპოლიას ესა თუ ის მსახიობი კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ მსახიობთა და თეატრის ცენტრი. უეჭველია, რომ არსებობდეს ჩვენში ქართული სათეატრო მკვიდრი ცენტრალური გამგეობა, რომელიც იქნებოდა ტონის მიმცემი და უხელმძღვანელებდა თეატრალურ საქმეს არა თუ მარტო ტფილისს და მის პერიფერიებს, არამედ მთელ საქართველოს რესპუბლიკას, დარწმუნებული ვართ, დღევანდელ სავალალო მდგომარეობის მხილველნი არ ვიქნებოდით. ასეთი შესაძლებლობა არ არ არის დღეს ქართული თეატრის ცხოვრებაში და მიზეზი დაქვეითებისა, ვიმეორებთ, არის მტკიცე ცენტრის უქონლობა, რაც ქმნის უსისტემობას ვინ გინდათ, რომ დღეს სათეატრო საქმეს არ ეხდაუჭებოდეს და ხელოვნების ფილოსოფიას თავისებურად არ აშუქებდეს? პასუხი გნებავთ?—ყველას, ვისაც კი ჯიბეში საფანელი შემოკლებია და ამის ზევადლენით ხელოვნებაზე და თავის თავზე ხელი აუღია! ანალოგიური მომენტი და მდგომარეობა ხელოვნების ცხოვრებაში იყო 1905 წ. ამ წლებში შექსპირის მაკბეტს, ჰამლეტს, რიჩარდს, ოტელოს და სხვას საქართველოში ამპლუა და პასუხისმგებელი ტალანტის მსახიობი არა ჰყავდა: მას „თამაშობდა“ ყველა, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა. ვინ იყო დამშვიდებული და დარწმუნებული? სრულიად არავინ. ყველა ვისაც კი ესმოდა ხელოვნების დიდი დანიშნულება, სდუმდა. ასეთივე მდგომარეობაა დღესაც. ახალგაზრდათა მიერ „არტისტიული“ კარიერის ძიებამ და პროფესიონალურ მსახიობთა „ლუკმა პურის“ საკითხმა თეატრის ცხოვრებაში შეიტანა დიდი დისონანსი და ამ მიზეზით ყველა, ვისაც კი აქვს პატივისცემა ხელოვნებისადმი და უყვარს მშობელი საქართველო,—მწარე საგონებელში ჩავარდა.

ჩვენი უმთავრესი მოსაზრება ის არის, რომ ქართული თეატრის „მსახურ მუშაკებს“ დიდი დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს. ქართულ თეატრის წმინდა ტაძარიდან უნდა განდევნოს თავის ტაძრიდან ფარისეველნი. უნდა ჩამოშორდეს თეატრს სამუდამოდ ყველა ის, ვისაც მასთან საერთო არაფერი არ აქვს.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ყველა იმ მწვავე საკითხებს მსახიობთა ყრილობაზე ჩვენი თეატრის მსახურნი უეჭველად შეეხებოდნენ, უსათუოდ აღნიშნავდნენ, მაგრამ ჩვენ იმაშიც ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი, რომ მარტო ორატორული დადადისი. დეფექტების აღნიშვნა და დიდი პათოსები, დასაღუპავ უფსკრულის პირად მისულ დიდ საქმეს ბევრს ვერაფერს ვერ უშველიდა. ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ჩვენი თეატრის გაბრკოლებულ საქმეს გამოასწორებს, მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმა ქართველმა ინტელიგენტმა მოქალაქემ (არა მსახიობმა) უნდა შეიგნოს მდგომარეობის სიმწვავე. ზურგი აბრუნოს „განდეგილობას“ და შემოკრიბოს მსახიობთა გარშემო იმ ზრახვებით, რომ მომავალ სათეატრო მუშაობაში აქტიური მონაწილე გახდეს რითაც ქართველ მსახიობს გაეხსნება ხვრელი და დღევანდელი „არტისტ-ადმინისტრატორი“ თავის სიმაღლეზე დადგება.

დღევანდელ ქართულ ხელოვნებას რომ მკვიდრი ხელისუფლება და დამცველი ძალა ესაჭიროება ეს, ცენტრის რომ თავი დაგვანებებინათ, სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ტფილისის გარეთა უბნ[ებ]ის ... თეატრებში საღ[ამო]... მხოლოდ და მხოლოდ შუშა ხალხი და... არიან—წმინდა... და ეს მაშინ, როდესაც სწორედ ამ გარეთა უბნის თეატრებს უნდა ექცეოდე... უპირატესი ყურადღება. ხელოვნების შერყვნა და გაათახსირება ჩვენ ამაზე მ... ტად ვეღარ წარმოგვიდგენია. ვინ გინდათ, რომ პროვინციალიზმს და რეალ... ბას არ ჩემულობდეს; ვინ გინდათ „... არა დრამატურგობდეს და „პიესებს“ არა სწერდეს; ვინ გინდათ, რომ ჯიბეში „არტისტობის დიპლომი“ არ ეძ... და თავის თავს „ხელოვნების ქურუმად“ არა გრძნობდეს?

შექმნილი მდგომარეობა ყოველ ქართველმა მსახიობმა ძალიან კარგ... იცის, მაგრამ მას არ ძალუძს საკუთარ... ინიციატივით საქმე სწორ ნიადაგ... დააყენოს და ჩვენ კვლავ გვსურს ვ... კითხოთ—რას შვრება და რას ფიქრობ... დაცემული თეატრის აღდგენისათვის ჩვენი ქართველი „პატრიოტი“ ინტელიგენცია? ნუ თუ მათ არ ესმით, რომ ყოველი ქართველი განათლებული ადამიანის ყურადღება მიქცეული უნდა იყოს არა პატრიარქ ამბროსის სამღვდელოსკენ, არამედ იმ კულტურულ დაწესებულებისაკენ, რომელსაც ხელოვნების ტაძარი ეწოდება.

რა მიზნები დაისახა პერსპექტივაში რა საშუალებები გამოიძებნა დასის გადარჩენისათვის მსახიობთა ყრილობამ. ჩვენ და მასთან მთელმა ქართველმა ხალხმა ამ გეგმების შესახებ არაფერი არ იცის და ასეთი გაურკვევლობა და დუმილი აშკარა ეჭვებსა ბადავს იმისას, რომ მომავალ სეზონში ჩვენს ქართულ თეატრს კარგი არაფერი არ მოელის.

ასეთია სათეატრო საქმის ფაქტიური მდგომარეობა, ასეთ ხიფათშია ქართული კულტურის დიდი საქმე და ჩვენ ვამბობთ:—იყო დრო, როდესაც ქართულ ბურჟუაზიულ თეატრს სათავეში ედგა და ეხმარებოდა ჩვენი „ბრწყინვალე წოდება“ თავად-აზნაურობა, ეს იყო მეფის დროს; ეს დრო დაითვრგნა, ... ფლობა შესცვალა მშრომელთა ძალაუფლებამ, მეფე მოკვდა, მოკვდა მასთან თავად-აზნაურული კულტურაც. საქართველოს მუშათა კლასი უეჭველად ... ქმნის ახალ ცხოვრების მოწყობით ახალი კულტურით და ამიტომ საქართველოს საბჭოთა მთავრობა მოვალეა არ დაეხმაროს ქართველ მუშებს სათეატრო კულტურის საქმეში—წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარული კულტურა არა თუ გაიყინება, არამედ იგი სამუდამოდ მოკვდება.

სცენის მოყვარე დ. მელაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მიერ ...რის ზაქარიას ძე ფურცხვანიძის სახელზე.

1—1 გაუქმებულად ჩაითვალოს.

## საბავშვო დღესასწაული
## საბავშვო ქალაქ კოჯორში

საბავშვო სეზონის დასრულების გამო კოჯორის საბავშვო სახლების ბავშვები 28 აგვისტოს, დილის 11 საათზე, მე-6 საბავშვო ეზოში, ქალაქ კოჯორში მართავენ სამშვიდობო დღესასწაულს.

ბავშვები სთხოვენ ყველა კავშირების, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა წევრებს, ბავშვებით დაესწრნენ დღესასწაულს.

დღესასწაული ყველასათვის უფასოა.

**საბავშვო კოლონიის მმართველობა.**

1—1.

## ჟურნალისტთა ცეხი

ორშაბათს, აგვისტოს 28, მუშათა სასახლის ზემო დარბაზში (... სართული) შესდგება ჟურნალისტთა ცეხის წევრების საერთო კრება.

დღის წესრიგია: 1) მოხსენება დროებითი ბიუროს მოქმედების შესახებ; 2) ახალი ტარიფი; 3) მომავალი მოქმედების გეგმა; 4) მუდმივი ბიუროს არჩევა და სხვა საქმეები.

საერთო კრება გაიხსნება დილის 11 საათზე. მაგრამ, თუ იმ დროისათვის ქვორუმი არ შესდგა, მეორე კრება გაიხსნება 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

3—